**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2011 წლის 7 ივლისს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა**

- ***კ. სლოვენიის წინააღმდეგ – (განაცხადი №41293/05)***

აპლიკანტი ფ. კ. სლოვენიის მოქალაქეა, დაიბადა 1971 წელს და ცხოვრობს შენტიურეში (სლოვენია). 2001 წელს განმცხადებელს შეეძინა გოგონა. იგი ჩივის სასამართლო განხილვების გაჭიანურების თაობაზე, რომელიც მისი შვილის მეურვეობისა და ბავშვის ნახვის უფლებების განსაზღვრას ეხებოდა და ასევე ჩივის იმ საქმის განხილვების გადადების თაობაზე, რომელიც მის წინააღმდეგ იყო აღძრული თავისი გოგონას მიმართ ძალადობისა და შეურაცხყოფის ბრალდების გამო. განმცხადებელი განსაკუთრებით ჩივის იმაზე, რომ არაეფექტურად ჩატარებული გამოძიების შედეგად, მისი ბავშვთან კონტაქტის უფლებები მკაცრად შეიზღუდა 2005 წლის აპრილიდან 2008 წლის მარტამდე, ვიდრე ის საბოლოოდ არ იქნა გამართლებული. აპლიკანტს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და კონვენციის მე-8 მუხლი.

*სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სამართლებრივი დაკმაყოფილების სახით სახელმწიფოს დაეკისრა 6,000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 1,500 ევროს გადახდა ხარჯების დასაფარად.*

- ***სერკოვი უკრაინის წინააღმდეგ – (განაცხადი №39766/05)***

აპლიკანტი სერგეი სერკოვი უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1961 წელს და ცხოვრობს ხარკოვში (უკრაინა). როგორც კერძო მეწარმე, იგი ჩივის, რომ საბაჟოს თანამშრომლებმა უარი უთხრეს იმ საქონელის დამატებითი ღირებულების საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებაზე, რომელიც მას 2004 წელს შემოჰქონდა უკრაინაში და აღნიშნული ქმედება საბაჟოს მხრიდან ეწინააღმდეგებოდა შესაბამის შიდა კანონმდებლობას. განმცხადებელი განსაკუთრებით მიუთითებს კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის დარღვევაზე.

*სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი და სამართლებრივი დაკმაყოფილების სახით სახელმწიფოს დაეკისრა 23,000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად და 4,000 ევროს გადახდა ხარჯების დასაფარად.*